MES 8 21 0001174313

02/11/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 19.10.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ტალიაშვილი	შპს ევროპის	რექტორი	I
2	სოფიო ხუნდაძე	უნივერსიტეტი	ვიცე-რექსტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	I
3	ნიკოლოზ ფარჯანაძე		განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ანა გვრიტიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	რუსუდან გოგიტიძე		ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	I

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ეკა კვირიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	სოფიკო შარაბაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
არა
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.პირველი საკითხი : შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ახალი
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზ. No76, თბილისი, 0141, საქართველო. სარაჯიშვილის ქ. No17, თბილისი, 0189, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, 2021 წლის 20 აგვისტოს შპს ევროპის უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის

მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ასევე, ვიზიტის მიმდინარეობისას გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურად დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიტორიები. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

ექსპერტთა ერთიანი შეფასებით, დაწესებულება სრულიად არის პროგრამის განსახორციელებლად მზად, რაც სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული, კერძოდ, პროგრამა შემუშავებულია თანმიმდევრულად და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები სრულად თანხვედრაშია ერთმანეთთან. ამავე დროს ინსტიტუციამ უზუნველყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი დოკუმენტი არ ატარებდა ფორმალურ ხასიათს. დაწესებულებას დადგენილ ვადებში გაეგზავნა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც მან წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით. დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს.

შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
2. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში ასახული რეკომენდაციები და რჩევები ნამდვილად ღირებულია მათთვის.

პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები, შესაბამისად, გაიწერა წინაპირობები, კერძოდ ,,ხარისხის უზრუნველყოფა1“, ,,ხარისხის უზრუნველყოფა 2“, ,,სამართლებრივი ბაზა“ და ასევე ,,კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსი.

აღსანიშნავია, რომ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა არის ახალი, აქედან გამომდინარე, პროგრამის აკრედიტაციამდე არ იყო შემუშავებული პროგრამაზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის დეტალური აღწერილობა, თუმცა, ამჟამად უკვე მოხდა მისი შემუშავება. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების გარდა უნდა შეასრულონ პროგრამით განსაზღვრული დამატებითი წინაპირობა: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში.

რაც შეეხება რჩევებს, ინსტიტუციამ მათი გათვალისწინების მიზნით უკვე შეიტანა ცვლილებები სასწავლო კურსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ გამართული იყო, თუმცა მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ დაწესებულებას გაეთვალისწინებინა ექსპერტთა რჩევა ადამიანური რესურსების სასწავლო კურსთან დაკავშირებით, ვინაიდან მოცემული სასწავლო კურსის შესწავლა პროგრამის თითოეული სტუდენტისთვის იქნებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი. საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ პირველ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობები ძირითადად დანართად მოსდევდა პროგრამას, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მიიჩნია, რომ მოცემული რეკომენდაცია რჩევის ხასიათს ატარებდა, რადგან აღნიშნული არ შეიძლებოდა ყოფილიყო პროგრამის ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, თუ რატომ აირჩია დაწესებულებამ „განათლების ადმინისტრირება“ და არა „განათლების მენეჯმენტი“, ვინაიდან ორივე მოქცეული იყო 0413 კოდის ქვეშ. რაც შეეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას, მან აღნიშნა, რომ სტუდენტთა გამოკითხვაში მოცემული იყო მხოლოდ პროცენტები, ხოლო გამოკითხულ დამსაქმებელთა რაოდენობა იყო 8, შესაბამისად, საბჭოს წევრმა ითხოვა დაზუსტება, იძლეოდა თუ არა აღნიშნული შრომის ბაზრის კვლევა ვალიდური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე ასევე დაინტერესდა ,,ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მარკეტიზაციის“ სასწავლო კურით და განმარტა, რომ მნიშვნელოვანი იყო პროგრამაში ერთი სასწავლო კურსი მაინც ყოფილიყო მხოლოდ მენეჯმენტის მიმართულებით. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ რატომ მოხდა მოცემული საკითხების ერთ სასწავლო კურსში გაერთიანება. გარდა ამისა, ,,განათლების სისტემისა და ადმინისტრირების“ სასწავლო კურსში განსაზღვრული იყო 19 სავალდებულო ლიტერატურა, რომელთაგან დიდი ნაწილი მოიცავდა კანონებს, რაც არ შეიძლებოდა განსაზღვრული ყოფილიყო სავალდებულო ლიტერატურად. აღსანიშნავია იყო ასევე ის, რომ სასწავლო კურსების დიდი ნაწილი სკოლისკენ ორიენტირებული გახლდათ, შესაბამისად, საბჭოს წევრმა სთხოვა დაზუსტება თუ რითი იყო გამოწვეული აღნიშნული. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ არ იყო წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა ისაუბრა ,,განათლების სისტემის ადმინისტრირებისა და განვითარების“ სასწავლო კურსზე და აღნიშნა, რომ კურსის მიზანია, ორგანიზაციულ ცვლილებებზე, განვითარებასა და სტრატეგიების შემუშავებაზე გარკვეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. თუმცა, სწავლის შედეგები არის განათლების სფეროს ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების ჭრილში სხვადასხვა უნარების გამომუშავებაზე. მან დაამატა, რომ მიზანი აქცენტს აკეთებს ორგანიზაციულ სისტემაზე, ხოლო, თავად სასწავლო კურსის შედეგები განათლების სფეროსა და განათლების სისტემის უნარ-ჩვევებზე. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. ამავე სასწავლო კურსთან დაკავშირებით - ,,განათლების სისტემის

ადმინისტრირება და განვითარება“ - საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სილაბუსში იყო განსაზღვრული შრომის კოდექსიდან გამომდინარე საკითხები და ძირითადად თემატიკა განხილული იყო საჯარო სექტორის ჭრილში. მან მოცემული საკითხის დაზუსტებაც სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა ისიც, რომ მოცემულ კურსს არ ჰქონდა წინაპირობა განსაზღვრული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი ყველა ლიტერატურა. მან დასძინა, რომ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას, უზრუნველყოფს სტუდენტებს თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით და სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით და საბიბლიოთეკო რესურსის განახლება მიმდინარეობს პერმანენტულად. პროგრამის ფარგლებში ასევე აქტიურად გამოიყენება ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც სავსებით დასაძლევია სტუდენტებისთვის და სწორედ აქედან გამომდინარეობს მიღების წინაპირობად ინგლისურის B2 დონის განსაზღვრა. მან ასევე განმარტა, ლიტერატურად კანონის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომ არის რიგი საკითხები, რომლებთან დაკავშრებითაც არ არსებობს სახელმძღვანელოები, თუმცა მოწესრიგებულია სხვადასხვა კანონებსა თუ მინისტრის ბრძანებებში. შესაბამისად, რიგი საკითხების სასწავლად აუცილებელია კანონების გამოყენება.

რაც შეეხება ადამიანური რესურსის საკითხს, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და შესაბამისად, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს მრავალ ფაქტორს, კერძოდ, ევროპის უნივერსიტეტის მისიას, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს, განათლების დარგის სპეციფიკას როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კონტექსტში, ქართული და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის ტენდენციებს განათლების სფეროში. ამდენად, პროგრამის მიზანია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს განათლების ადმინისტრირების სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მან ასევე ისაუბრა, რომ პროგრამაში არის კონკრეტული სასწავლო კურსები, სადაც დეტალურად ხდება განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების სწავლება. ასევე, პროგრამის ფარგლებში დეტალურად განიხილება ადამიანური რესურსების საკითხები. მან განმარტა, რომ ბიზნეს პრინციპების დიდი დოზით შემოტანა განათლების სფეროში არ არის რელევანტური. აქედან გამომდინარე, პროგრამაზე მომუშავე პერსონალმა თავი აარიდა მენეჯერიალიზმს და პროგრამა შეიმუშავა იმაზე დაყრდნობით, რომ განათლება არის საკმაოდ სათუთი საჯარო სივრცე, შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული განხილული იყოს წმინდა განათლების და არა ბიზნესის პრინციპებიდან. აღნიშნულმა მიდგომამ გამოიწვია ასევე მენეჯმენტის, ეკონომიკისა და მარკეტინგის გაერთიანება ერთ სასწავლო კურსში, რომ ინტერდისციპლინური მიდგომით განათლების სპეციალისტისთვის ნათელი ყოფილიყო მოცემული საკითხების ერთობლიობა.

მნიშვნელოვანი იყო ასევე შრომის ბაზრის კვლევის საკითხი, კერძოდ დაწესებულებამ გააგზავნა კითხვარები საკმაოდ ბევრ უნივერსიტეტში, თუმცა გამოხმაურების მაჩვენებელი იყო დაბალი. პროცენტული მონაცემები მოცემული იყო შრომის ბაზრის კვლევაში, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო დამსაქმებლებზე. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ფოლდერში კი იყო სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, რომლებშიც კონკრეტული რიცხვები იყო მოცემული. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 12-მა სტუდენტმა, 11-მა კურსდამთვარებულმა და 11-პერსონალმა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ დაწესებულების მიერ კითხვარი აგებულ იქნა იმგვარად, რომ

მოხდა პროგრამის შინაარსის, მისი შედეგებისა და მიზნების შეფასება. შესაბამისად, თითოეული ადამიანის შეფასება იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამა იყო მოქმედი, თუმცა დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა საპროგნოზო პირდაპირი შემოსავლები და პირდაპირი ხარჯები. მან დაამატა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადი იყო, რადგან მას მხარი დაუჭირა ფაკულტეტმა და უნივერსიტეტმა და უზრუნველყო ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავლებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:25
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭომ რეკომენდაციები ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში დაზუსტდეს და დეტაურად გაიწეროს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები.
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები.
3. რეკომენდირებულია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის მაპროფირებელი არჩევითი კურსებიდან ერთერთის ძირითად სავალდებულო ბლოკში გათვალისწინება.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.
2. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და განხორციელდეს სავალდებულო ლიტერატურის ოპტიმიზაცია და დამატებით ლიტერატურულ მასალებში მათი გადანაწილება.
3. სასწავლო კურსებში „განათლების სისტემის ადმინისტრირება და განვითარება“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და ბიუჯეტირების საკითხები“ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო - „დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010. სილაბუსში უნდა იყოს მითითებული კურსების შესაბამისად, აღნიშნული წყაროდან გამოყენებული შესაბამისი გვერდები.
4. სასურველია, პროგრამის მდგრადობის მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნეს სრულად პროგრამული ბიუჯეტი

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ